# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 65 | კვირა, 3 ნოემბერი 1902 წ. | გაზეთის № 1973.

# მ ა რ ი ნ ე

ოთახის კედლები და ჭერი შავებით იყო შემოსილი, იატაკი ხალიჩით მოფენილი; მაგიდაზედ იდგა მუქი მწვანე აბაჟურიანი ლამფა, რომელიც, თითქო ოთახის ღრმა მწუხარებას თანაუგრძნობდა და იქ მყოფთ მოკრთალებითა ჰფენდა შუქსა.

ტახტზედ იწვა ღრმა შავებით შემოსილი ჯერ ისევ ახალგაზდა ქალი, იმის წინ იყო დაჩოქილი ფერმიხდილი საშუალო ხნის მანდილოსანი.

მარინე შეშფოთებული წამოჯდა და სასოწარკვეთილი, წასულის ხმით სწიოდა:

— გამიშვით, გევედრებით, ჩემ ზურასთან გამიშვით .. არა, ყოვლად შეუძლებელია, როგორ დავიჯერო რომ ჩემი მშვენიერი ზურა აღარა მყავს? იმისი ლამაზი თვალები აღარ ელვარებენ? მაშ ჩემი სუნთქვაც შეუძლებელია, მაშ მეც უნდა მოვისპო სიცოცხლე; ის იყო ჩემი ცხოვრება, ჩემი სუნთქვა, ჩემი ჰაერი! განა კაცი უჰაეროთ რამდენსამე წამზედ მეტსა სცოცხლობს? მე, მე პირუტყვი კი... გონება შეშლილივით კისერზე ჩამოეკიდა დეიდას. მელანია წამოდგა იატაკიდან, მარინე გულზედ მიიკრა და გულამომჯდარი ჩასჩურჩულებდა:

— დამშვიდდი, გენაცვალოს ჩემი თავი, დამშვიდდი, შენი ჭირიმე. ეს მეათე დღეა ჩვენის უბედურების შემდეგ და ჯერ ერთ წამს არ ჩაგძინებია და პირშიაც არა ჩაგიშვია-რა. როგორ იქნება ღვთის წინაალმდეგ მოქმედება.

— არა, დეიდაჯან, მეტი აღარ შემიძლიან! ადექი, ჩქარა წავიდეთ, შენი ჭირიმე; ხომ იცი, მე მარტო ჩემ ზურას ოთახის ახლოს მოვისვენებ....

მარინე მთავრიძისა იქნებოდა იმ უბედურების დროს 32 წლისა; ის ძალიან ყმაწვილი გაათხოვეს და ვერ დასტკბა თავის კარგს გვირგვინოსანთან. შვიდის თვის შემდეგ დაქვრივდა—თანაც ფეხმძიმეთ დარჩა. სამი თვის შემდეგ ვაჟიშვილი მიეცა და იმას შესწირა მთელი თავის სიამოვნება და ყმაწვილქალობა. ისეთი შვილი აღზარდა, რომ მახლობელნი და ნაცნობნი მას შენატროდნენ.

ზურა ყოველივე ღირსებით იყო დაჯილდოვებული: ჭკვიანი, ნიჭიერი, მშვენიერი და საგანგებო ხასიათისა; მთელ დღეს წიგნს ხელიდან არ უშვებდა. ხუთმეტის წლისა მეექვსე კლასის პირველ მოწაფედ ითვლებოდა.

მერე რა გგონია, მკითხველო, მარინეს ბედნიერება ხანგრძლივი იყო?—ღმერთმა ყველა დაიფაროს მარინეს ბედისაგან.

ხალხური ანდაზაა: „ჭირი მართალთაო". ადამიანს ცასა და დედა-მიწაზედ არავინ გაჩნდეს: არც ქმარი, არც დედმამა და არც არავინ მახლობელი, მხოლოდ ერთად-ერთის შვილის მეტი, მთელი იმისი ცხოვრების მიზანი მასზედ იყოს დამყარებული; მოულოდნელად გაცივდეს და უცბად რამდენისამე დღის განმავლობაში ვაჟკაცი შვილი დედამ დაჰკარგოს, განა რომ გასაგონებლათაც ძნელია?



ალდო ჰიდეს.—სურათი დეიკერისა

სწორედ ჩვენს უბედურს, ყოვლად კეთილს და სათნო მარინეს დაატყდა თავზედ ეს შესაზარი უბედურება: მას მოულოდნელად გაუქრა თავისი ძვირფასი ზურა. გაშმაგებულმა დედამ არ იცოდა, სიზმარი იყო ესა თუ ცხადი.



ტფილისის ტიპები.—სირაჯი.

განა მარინეს ვინმე გაამტყუნებს, რომ ყოველ წამს იმას ფიქრობდა, როგორმე მარტო დაეტოვებინათ და ისიც მალე გამოსალმებოდა სიცოცხლეს. მთელი იმისი არსება გატაცებული იყო იმ აზრით, რა რიგი საწამლავი ან იარაღი უფრო სასწრაფოდ მოუსპობდა მას სიცოცხლეს.

ერთ დღეს შუა დღის თორმეტ საათზე, ქვეშაგებში მწოლარემ და დასუსტებულმა მარინემ თვალები გაახილა, მიათვალიერ-მოათვალიერა, ოთახში რომ აღარავინ დაინახა, სასწრაფოდ წამოჯდა ლოგინში, ბალიშებ-ქვეშ ხელი შეჰყო, გამოიღო კალმის დანა, გახსნა და როგორც უნდა დაეკრა ფეხის ძარღვზედ, უცბათ ოთახის კარი ვიღაცამ შემოაღო; მარინე გულშეწუხებული ლოგინზედ დაეცა. გონს რომ მოვიდა, ნახა გარშემო ხალხი ეხვია და მათ შორის ფერ-მიხდილი დავით ციმბურაძე გაშტერებული თვალებში შეჰყურებდა. დავითს გასათხოვრობიდანვე თავდავიწყებით უყვარდა მარინე; და რაც-კი დაქვრივდა, თითქმის ყოველ თვე ევედრებოდა, რომ მას ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ მარინე მტკიცედ იდგა თავის მიზანს. ის მხოლოდ თავის ზურაბის აღზრდით იყო გატაცებული. ზურა რომ წამოიზარდა, მუდამ იმას ეხვეწებოდა დედას, რომ მშობლიური სიყვარული სხვისთვის არ გაეზიარებინა მარინეს, არ გათხოვილიყო.

— მარინე, მარინე, როგორ მოვსტყუვდი! შენ განხორციელებული თავგანწირულება მეგონე, მაგრამ დიდი ეგოისტკა ჰყოფილხარ. ნუ თუ კაცმა მაშინ უნდა იცოცხლოს, როდესაც პირად ბედნიერებას ჰგრძნობს? აბა, სწორედ ეხლა შეგიძლიან მამაცურად მოიქცე. ყოველ უბედურებას ადამიანი მაშინ აიტანს, როდესაც დაუღალავათ შრომობს; შრომობს არა მარტო თავის მახლობლებისთვის, არამედ ერთნაირად, განურჩევლად ყოველი მოძმისთვის. ნუ თუ არ გესმის, რომ შენი სიცოცხლე საჭიროა სხვებისთვისაც! კარგად იცი, შენისთანა უმანკო, სათნო და კეთილი ადამიანი ძალიან ცოტაა ჩვენს გადაგვარებულს ქალებში. გეთაყვა, მარინე, ჩაფიქრდი, გონს მოდი, შენ ხომ შენის შვილის სურვილს არღვევ მაგ მწუხარებით. მე მგონი იმის უკანასკნელი სიტყვა იყო: „დედა, ნუ სტირი, იცოცხლე და შენს თავს გაუფთხილდი ნიშნად ჩემის სიყვარულისაო“.

მარინეს დავითის ლაპარაკი თითქოს მალამოსავით მოეცხო დაკოდილს გულზე და ამდენის ხნის უძილოს გულიანად ჩაეძინა. ოთახიდან ნელ ნელა ყველანი გავიდნენ. დავითი კი გაუნძრევლად ფეხებთან უჯდა, მწუხარებით მოცული, და თვალებ დაუხამხამებლად უცქეროდა, თითქო დავითი სამუდამოდ ეთხოვებოდა მარინეს და უკანასკნელად ჰსურდა აღებეჭდა იმისი მშვენიერი სახე თავის გულში. დავითი სრული ხუთი საათის განმავლობაში სტკბებოდა მარინესთან ახლოს ყოფნით და წყნარის სუნთქვით. მას ხუთი საათი წამათ ეჩვენა, როდესაც მარინემ გადახედა ალერსიანათ. მარინემ ძილის შემდეგ რაღაც მოულოდნელი ძალა იგრძნო და სრულიად დამშვიდებულმა უთხრა დავითს:

— რომ იცოდე, რა ბედნიერი ვიყავი ამ ჟამად! ნეტავი სულ აღარ გამომეღვიძნა და სამუდამოდ მასთან ერთად დავრჩენილიყავი; მაგრამ არა, რას ვამბობ... მე ჩემი ზურა ვნახე, გადამეხვია, უთვალავად მკოცნა და ისევ თავისი უკანასკნელი სიტყვები განიმეორა: „დედა, ნუ სტირი, ნუ სწუხარ, შენს თავს გაუფრთხილდი ნიშნად ჩემის სიყვარულისა... განა მეგონა შენ სიტყვას არ აასრულებდი და ასე დამტანჯავდი? ყოველი შენი ცრემლი მე ტანს მწვავს, როგორც მდუღარე ნაპერწკალი. გამხიარულდი, იშრომე და შეეწიე უპატრონო და უნუგეშოთ დარჩენილ ობლებს. მეც მაშინ დავმშვიდდები და გავმხიარულდები“... აი სწორედ ასე ცოცხლად მელაპარაკა, როგორც მე შენ გელაპარაკები.




ტფილისის ტიპები.—ჩაის გამყიდავი თათარი.

მარინეს ყოველი სიტყვა დავითს გულში ნესტარივით სცემდა და გაფითრებული შესცქეროდა. დავითი იყო სამხე-

დრო წოდებისა, მაგრამ ის სრულებით სხვა იდეალს ემსახურებოდა და იქნება სამუდამო კვალიც დაეტოვებინა ჩვენს საცოდავს ცხოვრებაში, რომ ისე უიმედოთ არ ყოფილიყო შებოჭილი მარინეს სიყვარულით.

— მაშ, ჩემო დავით, დღეიდან სხვა ცხოვრებას ვიწყებ, ამ ჩემს სახლს, კარს, ჯანს, შევწირავ უპატრონო და საწყალ ბავშვებს.

— მე რაღა იმედს მაძლევ, მარინე? არა სჯობიან, რომ ჩვენ ორივემ შეერთებულის ძალით ერთად ვიშრომოთ, ვინუგეშოთ და ვანუგეშოთ!...

— გევედრები, დავით, აღარ განიმეორო... შენ კარგათ იცი, მეც თანაგიგრძნობდი ყოველთვის, მაგრამ მე მხოლოდ ვასრულებ ჩემს ზურას სურვილს.

— მშვიდობით, მარინე! ღმერთი შეგეწიოს... მე მაინც ეხლა აქ აღარც მედგომება!—წავალ და იმ მამაც ხალხს ვუმსხვერპლებ თავს, ვინც თავისუფლებისთვის ისე მედგრად იბრძვის—ბურებს.

და ამ სიტყვებით უკანასკნელად კიდევ გადახედა მარინეს და გულ-დაკოდილი დავითი სამუდამოდ განშორდა მას.

დიხაზურგელი

# ნარევი

იტალიელი ყაჩაღები. სიცილია მუდამ განთქმული იყო ყაჩაღებით მთელს იტალიაში. ეხლაც ერთი ყაჩაღია იქ, გვარად ვერსალონა, რომელსაც მთელი მხარე აქვს აკლებული და ვერა მოუხერხეს-რა. მთავრობის განკარგულებით, საიდუმლო პოლიციის ინსპექტორი ბალონტი წასულა სიცილიას, რომ კვალი აიღოს ვერსალონასი და შეიპყრას ან მოჰკლას.

ვერსალონა რამდენიმე წელიწადია ნავარდობს კამარატასა და კასტრა-ნოვოს მიდამოებში და მცხოვრებლები შიშსა და შეწუხებაში ჰყავს. ამ უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში ვერსალონას ათი მკვლელობა ჩაუდენია; მოუკლავს მხოლოდ ისინი, ვიზედაც ეჭვი მიუტანია, რომ მთავრობას იმის შესახებ ცნობებს აძლევდა—ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ვინც იმაზე „დაჩოსობდა".

ვერსალონა თურმე ისეთი ყაჩაღი არაა, რომ შარა გზებზე ცალკე კაცები სძარცვოს; ის თურმე სწორედ ისე იქცევა, როგორც საშუალო საუკუნოებში იცოდნენ ხოლმე. ყოველ მემამულეს გადაჭრილ გადასახადს დაადებს და მემამულეც უარის უთქმელად იხდის თურმე. ვერსალონა ამ გადასახადიდან ცოტას თავის თავს ახმარებს, მეტს კი გაჭირვებულთ ურიგებს.

ვერსალონას სამხედრო ბეჯარით სამსახური შეჰხვედრია და იტალიის ცხენოსან ჯარ-

ში მსახურებდა, შესანიშნავის ხასიათისა და სამსახურის მეუაითიც ყოფილა. სამსახური ახლად გაეთავებინა, როცა მას მეტად საყვარელი ძმა მოუკლეს. ვერსალონას ფიცი დაუდევს, მკვლელისაგან სისხლი აეღო: ვიზედაც ეჭვი ჰქონდა, მოჰკლა და მერე მთაში გაიქცა და იმ დღიდან ყაჩაღობას მიჰყო ხელი.

*
* *

ორდენების მოყვარულნი მარტო ჩვენში არ არიან. საფრანგეთში დღემდე ბევრია სხვა-და-სხვა ორდენის მოსურნე და დიდს ფულსაც ჰხარჯავენ ორდენის მისაღებად. გაზეთი „ფიგარო" ერთ ამბავს მოგვითხრობს ერთის გამოჩენილის პოლიტიკურ მოღვაწის შესახებ. ამ ვაჟბატონს აფრიკის ერთ-ერთის სულთანისათვის რაღაც საქმე გაუკეთებია და ამ სულთანსაც ორდენი უჩუქებია, სახელად ლაბაქსი-ტანო. ფრანგს მეტად გაჰხარებია ამ ორდენის მიღება, საჩქაროდ სამინისტროში მისულა და უთხოვნია, ნება მომეცით ეს უცხო ქვეყნის ორდენი ვატარო.

— მერე მოგეხსენებათ, რა ორდენია ის ორდენიო,—შეეკითხა მინისტრი.

— როგორ არა. ორდენი — მშვენიერი ოქროს ბეჭედია, ზედ ლამაზი და წითელის მინანქარით გაკეთებული ტარი ჰკიდია. გთხოვთ ნება მომცეთ ეს ორდენი ვატარო.

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ატაროთ—უთხრა მინისტრმა—მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველი ორდენი წესისამებრ უნდა ატაროს პატრონმა და თქვენი ორდენიც ისე უნდა ატაროთ, როგორც აფრიკაშია მიღებული, იმ სულთანის სამეფოში.

— მერე როგორ უნდა ვატარო?—გაოცებით შეეკითხა ორდენის მოყვარული.

— ეს ორდენი, ბატონო ჩემო, ცხვირში უნდა გაიკეთოთ, ბეჭედიც სწორედ იმისათვის აქვს გაკეთებული—ღიმილით განუმარტა მინისტრმა.

ორდენის ლაბაქსი-ტანოს კავალერი ძლიერ დაღონებულა და სამინისტროდან დაღონებული წასულა და ორდენის ტარების ნების გამოტანისათვის თავი დაუნებებია.

ნეტავი ჩვენში როგორ მოიქცეოდნენ!...

*
* *

საარჩევნოდ მომზადება. ამერიკის პრეზიდენტის ახალ არჩევნამდე ჯერ კიდევ ორი წელიწადია, მაგრამ ეხლანდელს პრეზიდენტს რუზველტს გამოსჩენია კიდეც მოქიშპე. ეს არის ქალაქ კლევლანდის ქალაქის მოურავი ტომ ჯონსონი, რომელსაც ჰსურს თავისი კანდიდატობა ნიუ-იორკში გამოაცხადოს.

ჯონსონს ეხლავე შეუკვეთნია დიდი კარავის გაკეთება, რომ ადგილიდან ადგილზე გადაიტანოს და ამ კარავში კრებები გამართოს. მთელი პროცესიაც გაუმართავს, რომელსაც 10 ეტლი შეადგენს და 40 კაცი ახირებულის ტანისამოსებით გამოწყობილი; ყველა ესენი ჯონსონს თან ახლდება მოგზაურობაში. სადაც კი დაბინავდება, იქ საჩქაროდ დროებითი ხის სახლები უნდა აშენდეს, შიგ ლიმონადი, საუზმე და სხვ. გაიმართოს ხალხისათვის მუქთად დასარიგებლად. აქვე დაურიგებენ ხალხს წიგნაკებს, სადაც აწერილი იქნება ჯონსონის ვინაობა, ამის სურათებს, ჯოხებს და ფოლაქებს, სადაც ჯონსონის სახე იქნება გამოხატული.

ჯონსონს გადაუწყვეტია თავისის ამალათი მთელი ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები მოიაროს და უანგარიშნია, რომ ამას სწორედ ორი წელიწადი მოუნდება. რა თქმა უნდა, ამ წადილს ადვილად აისრულებს ტომ ჯონსონი, რადგან ჯიბეც ამის ნებას აძლევს: 20 მილიონი დოლარი კარგი შეძლებაა.

ძალიან არა ჰგავს ჩვენებურ საარჩევნო ჩვეულებებს!...

*
* *

ბალი მიწის ქვეშ. თავისებური სალხინო დარბაზი გაჰმართეს ამ რამდენისამე კვირის წინად ინგლისელებმა ნორტვიჩში, თუმცა ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ეს დარბაზი მხო-



მშიერი კატები—სურათი უდამისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ერთის დღისათვის იყო მოწყობილი საქველმოქმედო საჭიროებისათვის. ეს დარბაზი მარილის მაღაროებში გაჰმართეს. ისე მოეწონათ ასეთს დარბაზში მიწვევა, რომ აუარებელი ხალხი მიაწყდა თურმე იმ დღეს. ეს ადგილი მაღაროებისა დედა-მიწაში 50 საჟენის სიღრმეშია; იქ ჩასვლა შეიძლებოდა ყუთებით, რომლებიც მავთულებზე ჩაეშვებოდა ძირს. ერთ გზობით მხოლოდ ოთხი კაცი. ერთ გზას ერთი წუთი უნდებოდა.

საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა მარილის მაღაროები ამ დღეს. სხვა დროს სიბნელით მოცული, იმ დღეს ყველა კუნჭული მშვენიერად იყო განათებული ათასის სინათლეებითა, ვარსკვლავისა, ასოებისა თუ სხვა რამეს მსგავსად.

ნორტვიჩის მარილის მაღაროები ბარონ კუაის საკუთრებაა, კარგა მოზრდილიაა და 65 წელიწადია, რაც იქ მუშაობა სწარმოებს.

მაღაროებში ვიწროობა არ არის: ჭერი 5 საჟენის სიმაღლეზეა; ერთი გალერეა 37 საჟენის სიგრძეზე მიდის თურმე; სიგანე 12 საჟენამდე აქვს; იატაკიც, რა თქმა უნდა, მარილისა აქვს. ჭერის ჩამონგრევის შიში სრულებით არა აქვთ, რადგან ყოველ 10 საჟენზე ვეებერთელა მარილისავე ბოძები აქვს დარჩენილი. ჰაერი ცივია ამ მაღაროებში. აი ამისთანა ადგილას ზღაპრულად მორთულ-მოკაზმულ დარბაზში ცეკვა და დროს გატარება გაიმართა აუარებელ სტუმრებისა მას შემდეგ, როცა მაღაროები დაწვრილებით დაათვალიერეს. მუსიკის ხმა ტკბილად გაისმოდა თურმე მაღაროს მიდამოებში.

სწორედ ახირებული ხალხია ინგლისელები!...




— აი ყველა ეს რომ ავურიო ერთად ისეთი საგაზეთო წერილი გამოვა, რომ მეც ვერ გავუგებ ვერც თავსა და ვერც ბოლოს.

## ვორონცოვის ძეგლის გაწმენდა




— ჩამოეთრიეთ მანდედამ, ბ'იუვებო! არ იცით, რომ ძეგლი რამდენად ძველია, იმდენად ძვირფასია?..

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 2 Ноября 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა,